<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის დიპლომატის რუსუდან მიქელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, დოესის ქუჩას მიენიჭოს დიპლომატის რუსუდან მიქელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ჯორჯ ბუშის ქუჩა
ავლიან ზურაბაშვილის ქუჩა
დავით ხელთუფლიშვილის ქუჩა
ბულაბანის III შესახვევი
ბულაბანის II შესახვევი
ბულაბანის I შესახვევი
ბულაბანის ქუჩა
ბულაბანის II ქუჩა
ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა
ბოლორმას ქუჩა
ბოლორმას ქუჩა
ბოლორმ

რუსუდან მიქელაძე

რუსუდან მიქელაძე იყო პირველი ქართველი დიპლომატი ქალი, რომელიც მონაწილეობდა თურქეთში, კერძოდ ტრაპიზონში 1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის სეიმსა და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებებში .

ქართველთა დელეგაციიდან თურქეთის ხელისუფლების მიერ ახლახანს გასაჯაროებულ ფირზე აღბეჭდილნი არიან: აკაკი ჩხენკელი, რომელიც შემდგომში პირველი დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, გიორგი ლასხიშვილი (განათლების მინისტრი), გიორგი გვაზავა, ვახტანგ ღამბაშიძე, ჰაიდარ-ბეგ-აბაშიძე და იმ პერიოდის ერთადერთი დიპლომატი ქალი რუსუდან მიქელაძე.

ტრაპიზონის სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილე დელეგაციის ვიდეოფირს მიაკვლია. დელეგაციის თავმჯდომარე იყო აკაკი ჩხენკელი, რომელიც სიტყვით გამოვიდა მაშინ.

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციაში სამი ქვეყნის – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები იყვნენ და ეს დელეგაცია გააგზავნეს ტრაპიზონში სამშვიდობო მოლაპარაკებების მიზნით. როგორც ისტორიიდან ვიცით, იმ პერიოდში რუსეთ-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა, თურქების ჯარი უკან იხევდა, მაგრამ რუსის ჯარიდან მილიონამდე ჯარისკაცი გაიქცა, რადგან მათ ეგონათ, რომ ბოლშევიკები მიწებს დაურიგებდნენ და ასე რომ არ მოხდა, უკან დაბრუნდნენ, რუსეთში.

თურქები ფეხზე წამოდგნენ, მოძლიერდნენ და უცებ წამოვიდნენ საქართველო-სომხეთისკენ. რუსული ჯარი აღარ იყო და ქვეყანა, ფაქტობრივად, საზღვრების გარეშე დარჩა. ამ პროცესების მონაწილე იყო ეს დელეგაცია.

ამ დელეგაციაში იყო ერთადერთი ქალი, რუსუდან მიქელაძე, რომელიც თავის წერილებში წერდა კინოფირის შესახებ.

თურქებს ძალიან გაუკვირდათ თურმე ქალის დელეგაციაში ყოფნა, ჩვენ არსად გვინახავს აქამდე ქალი დელეგაციებში და ძალიან საინტერესოაო, უთქვამთ.

გასაბჭოების შემდეგ რუსუდან მიქელაძე არ წავიდა ემიგრაციაში, თუმცა წყაროების მიხედვით, მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთში, ემიგრაციაში წასულ მაშინდელ მთავრობასთან და ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მიმოწერა და დოკუმენტი ინახება მის არქივში.

ბოლო წლებში თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. ძალიან ბევრი თეატრალი იცნობდა ამ ქალს, ძალიან კარგად იცოდა რუსული და სოფიკო ჭიაურელიც წერდა მასზე, რომ დედაჩემმა როცა მოინდომა დალაგებული რუსული მესწავლა, ბავშვობიდანვე რუსუდან მიქელაძესთან მატარებდაო.